12/17/14 GRASSBRIEF 2014/3

POLICY BRIEF პოლისი ბრიფი

საიმიგრაციო პოლიტიკის ცვლილებები
და შედეგად შექმნილი გამოწვევები

წინამდებარე პოლისი ბრიფი მომზადებულია საქართველოს რეფორმების ასოციაციის მიერ, ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ხელშეწყობით, „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია.

პოლისი ბრიფში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარებისს ააგენტოს (USAID), საქართველოს გაეროს ასოციაციის და ფონდის „ღია საზოგადოება“ ოფიციალურ პოზციად.

1. შესავალი

2014 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ". კანონის თანახმად, საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა. ასევე, 24 ქვეყანას გაუუქმდა უვიზო რეჟიმი საქართველოსთან.

ახალი კანონის მიხედვით, ვიზებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღარ გასცემს. ვიზები გაიცემა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში. უცხოელმა, რომლის წარმოშობის ქვეყანაში საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება, საქართველოს ახლომდებარე საელჩოს და საკონსულო დაწესებულებას უნდა მიმართოს. კანონის მიხედვით, ასევე გაუქმდა ვიზის აღება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (დასაშვები დარჩა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში).

ცვლილებების შედეგად, ვიზები დაიყო კატეგორიებად და ბინადრობის ნებართვის მიღებისათვის ახალი რეგულაციები ამოქმედდა. უცხოელისთვის საქართველოში შემოსვლისა და საქმიანობის ძირითადი საფუძველი გახდა საქართველოს ვიზა და ბინადრობის ნებართვა. ახალი კანონის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მიღების აუცილებელი მოთხოვნაა იგივე მიზნით გაცემული ვიზის ქონა, რა მიზნითაც პირი ითხოვს ბინადრობის ნებართვას. მაგალითად, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სურს მიიღოს სასწავლო ბინადრობის ნებართვა, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს D3 ტიპის (სასწავლო) საიმიგრაციო ვიზა; შრომითი ბინადრობის ნებართვის აღების სურვილის შემთხვევაში, საჭიროა D1/D2 ტიპის (შრომითი) საიმიგრაციო ვიზადაა.შ.

კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე აღმოჩნდა უცხოელთა განსაზღვრული კატეგორია (2000-მდე პირი), რომლებიც ბინადრობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო დაჯარიმებას და საქართველოდან გაძევებას ექვემდებარებოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდამავალ ეტაპზე, მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოში მყოფი უცხოელებისთვის საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვების შეღავათიანი პირობების დადგენა. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია, საქართველოში მყოფმა უცხოელებმა საიმიგრაციო ვიზა უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიიღონ. მოქმედი კანონმდებლობით, ამ

უკანასკნელთ, საქართველოს ვიზის მისაღებად, საქართველოს ტერიტორიის დატოვება და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა თუ საკონსულოებისთვის მიმართვა უხდებოდათ, რაც დროსა და ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა და არახელსაყრელ პირობებში აყენებდა საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 14 ნოემბერს, პარლამენტმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონში დამატებითი ცვლილებები შეიტანა. კერძოდ:

- საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოს საიმიგრაციო ვიზა შეიძლება გაიცეს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ამ მიზნით, უცხოელმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში მისი კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 45 დღისა. ამდენად, უცხოელს აღარ დასჭირდება თავის ქვეყანაში დაბრუნება შესაბამისი ვიზის მისაღებად. ამ ტიპის ვიზის გაცემისთვის განისაზღვრა სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით;
- კანონით დადგინდა დროებითი შეღავათიანი რეჟიმი საქართველოში მყოფი ცალკეული კატეგორიის უცხოელთათვის ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად. კერძოდ, უცხოელი, რომელზეც ცვლილებების ამოქმედებამდე გაცემული იყო ბინადრობის ნებართვა, ან უცხოელი, რომელიც აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ შემოვიდა საქართველოში, 2015 წლის 1 მარტამდე თავისუფლდება საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებისგან;
- უცხოელს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა 2014 წლის 17 მარტამდე და ცვლილების ამოქმედების მომენტისთვის იმყოფება საქართველოში, ენიჭება უფლება, კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ, საქართველოში მიიღოს საიმიგრაციო ვიზა 2015 წლის 1 მარტამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უცხოელს უარი ეთქვა ბინადრობის ნებართვაზე;
- სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძვლებს ემატება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის ფლობა. აღნიშნული ცვლილება შექმნის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირთა საქართველოში გრძელვადიანი ყოფნის სამართლებრივ საფუძველს და ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებაში;

- კანონპროექტით დგინდება გამონაკლისი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვისას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სატვირთო ავტომანქანის ძირითად და დამატებით მძღოლებზე ტრანზიტული ვიზების გაცემის შემთხვევაზე. ტრანზიტული ვიზა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მესამე სახელმწიფოში შესვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლისას, პირი საქართველოს ტერიტორიაზე ჩერდება 10 დღის განმავლობაში, ნაცვლად აქამდე არსებული 5-დღიანი ვადისა.

2. სავიზო პოლიტიკის გამკაცრების შედეგები განათლების სფეროზე.

"უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა შესახებ" კანონში შეტანილმა ცვლილებებმა განათლების სფეროში მნიშნელოვანი სირთულეები შექმნა. ახალ რეგულაციებამდე სტუდენტთა უმეტესობა საქართველოში შემოდიოდა ორდინალური ვიზით[1], (კანონში მოხსენიებული სასწავლო ვიზა[2] პრაქტიკაში თითქმის არ გამოყენებოდა). ორდინალური ვიზის ფარგლებში სტუდენტს/უცხოელს შეეძლო 365 დღის განმავლობაში დარჩენილიყო ქვეყნაში, ხოლო თუ მას სურდა საქართველოში მუშაობა ან სწავლა, ორდინალური ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, კანონი მას ავალდებულებდა აეღო დროებითი ბინადრობის ნებართვა.[3] ბინადრობის ნებართვის აღება ხდებოდა საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოში.

განხორიცლებულმა ცვლილებებმა აღნიშნული წესი შეცვალა. კერძოდ:

ცვლილება 1: ვიზები დაიყო კატეგორიებად

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ D კატეგორიის D3 საიმიგრაციო ვიზით (გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ პირებზე), ან C კატეგორიის ორდინალური ვიზით, მათ შორის, C1 (ტურისტული ვიზა), C2 (გაიცემა ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად საქართველოში მომავალ პირებზე, თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე;) ან C3 (ვიზა გაიცემა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გასამართად საქართველოში

[1]მუხლი 9; „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ „http://goo.gl/3uF07n (ნანახია 4/11/2014/
[2]მუხლი 10 ;http://goo.gl/3uF07n (ნანახია 4/11/2014/
[3]მუხლი 10, პუნქტი 2;http://goo.gl/3uF07n (ნანახია 4/11/2014/

მომავალ პირებზე, სამეცნიერო სემინარის, კონფერენციის, სხვა სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, კულტურული ან სპორტული ღონისძიების მონაწილეებზე, ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე) ვიზით.[4]

ცვლილება 2: ხანგრძლივობა

საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა. შესაბამისი ვიზის ტიპის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აიღოს დროებითი სასწავლო ბინადრობის ნებართვა, რომელიც უცხოელზე შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 6 წლის ვადით.[5]

ქვეყანა	რაოდენობა	ქვეყანა	რაოდენობა
აზერბაიჯანი	1917	პოლონეთი	9
აშშ	30	რუსეთი	305
ბელარუსი	3	საბერძნეთი	15
გერმანია	22	საფრანგეთი	3
დიდი ბრიტანეთი	2	სირია	28
ეგვიპტე	2	სლოვაკეთი	1
ერაყი	64	სომხეთი	57
ესპანეთი	1	ტაჯიკეთი	5
თურქეთი	528	უზბეკეთი	10
თურქმენეთი	1	უკრაინა	21
ინდოეთი	791	ყაზახეთი	17
ირანი	62	ყირგიზეთი	10
ისრაელი	12	ჩინეთი	12
კანადა	1	სხვა	788
ლატვია	1		
ლიტვა	4		
ნეპალი	2		
ნიგერია	839		
პაკისტანი	1		
პალესტინა	1		

[4]მუხლი 7 ახალი რედაქცია http://goo.gl/3uF07n (ნანახია 4/11/2014/
[5]მუხლი 16 , პუნქტი 1

სულ - 5622

აღნიშული ცვლილებით, ერთის მხრივ, მოწესრიგდა სავიზო რეგულაციები, რადგან სწავლის მიზნით საქართველოში მომავალი სტუდენტები შესაბამისი სტატუსით (სასწავლო ვიზით) ჩამოვლენ საქართველოში. მეორეს მხრივ, გარდამავალი პერიოდის არ შემოღებით, არაეფექტურად წარმართული საინფორმაციო კამპანიისა და სამოქალაქო სექტორის ნაკლები ჩართულობის (რისი მიზეზითაც რიგი პრობლემები დარჩა ყურადღების მიღმა) გამო, გაჩნდა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პრობლემები, რაც, სავარაუდოდ, შეაფერხებს საქართველოში სწავლის მსურველ ადამიანთა რიცხვს და მოტივაციას დაუკარგავს შემდგომში სასწავლო მიზნით ჩამომსვლელ სტუდენტებს.

მოკლევადიანი პრობლემები დაკავშირებული იყო გარდამავალი პერიოდის არშემოღებასა და არაეფექტურ საინფორმაციო კამპანიასთან, რის ფარგლებშიც არ განხორციელდა უცხოელ სტუდენტთა კონტიგენტის მქონე უნივერისტეტების ინფორმირება აღნიშნულ ცვლილებებზე და პრობლემა შეუქმნა საქართველოში 1

> რამდენიმე ნამდვილი ისტორია
>
> - "ჩემი ვიზა 23 დეკემბერს იწურება. სწავლა კი, 26-ში მთავრდება. იძულებული ვარ წავიდე, არადა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის ყველა ლექციაზე დასწრება. უსამართლობაა, რომ სულ რაღაც 3 დღის გამო წასვლა მომიწევს, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ან ერევანში უნდა წავიდე და მინიმუმ 10 დღე ვიცადო, რომ ახალი ვიზა მომცენ. ამის დრო ნამდვილად არ მაქვს. გარდა ამისა, ვიზისთვის 50 აშშ დოლარი მომთხოვეს საკონსულოში. ზაფხულში ჩეხეთში ვიყავი კონფერენციაზე. როგორც სტუდენტმა და ჟურნალისტმა შენგენის ვიზა უფასოდ მივიღე. თუკი საქართველო ევროპულ კანონმდებლობის ჩარჩოებში ქმნის თავის რეგულაციებს, რატომ არ ითვალისწინებს ჩვენნაირი კატეგორიისთვის ამ შეღავათს, როგორც ევროპის სახელმწიფოები?" - სტუდენტი სომხეთიდან;
>
> - "თბილისში მაგისტრატურაში 2014 წლის იანვარში ჩავაბარე. ახალი სემესტრის დაწყების შემდეგ, ანუ სექტემბრის შუა რიცხვებში გავიგეთ, რომ საქართველოში 90 დღეზე მეტ ხანს ვერ გავჩერდებოდით. ინსტიტუტში ლექციები საბოლოოდ მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს მთავრდება - ზუსტად ერთი კვირით ადრე, ვიდრე ჩემს ვიზას ვადა ამოეწურება. იძულებული ვარ, სწავლა იქამდე შევწყვიტო, ვიდრე დასრულდება" - სტუდენტი აზერბაიჯანიდან;
>
> - "ორდინალურ ვიზას უკვე გაუვიდა ვადა, თუმცა დღემდე არ ვიცი როგორ მოვიქცე, ადრე ვიზას ხელახლა ვიღებდი. დღეს მეუბნებიან აქ ვეღარ აიღებო, თუმცა როგორ უნდა მოვიქცე არავინ იცის" - სტუდენტი ნიგერიიდან
>
> - "ჩემი მეგობარი რამდენიმედღის წინ გაემგზავრა სამშობლოში და ახლა უკან დაბრუნებას ვერ ახერხებს, რადგან საკონსულოში გასაუბრება დაუნიშნეს თებერვალში და, შესაბამისად, მას ნახევარი სასწავლო წელი უცდება" -

სექტემბრამდე შემოსულ სტუდენტთა უმრავლესობას. საქართველოში უცხოელები სწავლობენ 2 სახელმწიფო (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი) და რამდენიმე კერძო ავტორიზებულ

(კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ქართულ–ამერიკული უნივერსიტეტი და ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი) უმაღლეს სასწავლებელში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ უნივერისტეტებში 2011-2012 წლიდან 2014-2015 სასწავლო წლის ჩათვლით 5622 სტუდენტია ჩარიცხული.[6]

საკანონმდებლო ცვლილებამდე შემოსულ სტუდენტთა უმეტესობას არ გააჩნია სასწავლო ვიზა, შესაბამისად, მათი უმრავლესობა შეზღუდულია უფლებით აიღოს, ან განაახლოს დროებითი ბინადრობის ნებართვა, ვინაიდან „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა შესახებ" კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „უცხოელი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის იმავე მიზნით გაცემის შესახებ, რომლისთვისაც მან მიიღო საქართველოში შემოსვლის ნებართვა." ამავე დროს საზღვარზე აღარ გაიცემა ვიზა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა). აქედან გამომდინარე, სტუდენტი ვიზის, ან ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულია დაბრუნდეს სამშობლოში და მიიღოს შესაბამისი ტიპის ვიზა (D3). „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" მიერ გამოკითხული კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები, სადაც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, აღნიშნავდნენ, რომ პრობლემას ქმნიდა უკან დაბრუნების შემთხვევაში სტუდენტთა მიერ გასაწევი ფინანსური ხარჯი და მათ მიერ სასწავლო სემესტრის შესაძლო გაცდენა.[7]

> „სტუდენტს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში მოდის მხოლოდ ერთი აკადემიური სემესტრით, უწევს ორმაგი, დროის და ფინანსური ხარჯი, ჯერ თავის ქვეყანაში ვიზის გასაკეთებლად და მერე გასაგრძელებლად, რის გამოც, ისინი ხშირად უარს ამბობენ საქართველოში სასაწავლებლად ჩამოსვლაზე" - ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

სასწავლო სემესტრის გაცდენა დაკავშირებული იყო დიპლომატიურ წარმომადგენლობებში განაცხადის შეტანას ვადებთან. საგარეო საქმეთა სამინისტროს ონლაინ აპლიკაციით შესაძლებელია დიპლომატიურ წარმომადგენლობებში განაცხადის შეტანის დროის დაჯავშნა, ვიზის მიმღებთა მოზღვავებული რაოდენობის გამო კი,

[6]საქართველოს განათლების და მეცინეირების სამინსტოროდან მიღებული წერილი 388 (10,11,2014); გახაზულია ის ქვეყნები, სადაც საქართველოს არ გააჩნია საკონსულო წარმომადგენლობა.
[7]შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტიდან წერილი 342(23,10,2014); თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან- 340(22,10,2014) და 382 (10,11,2014); ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტიდან- 369 (30,10,2014) კავკასიის უნივერისტეტიდან- 321 (16,10,2014)

სტუდენტთა დიდ რაოდენობას განაცხადის შეტანის დრო 2-3 თვის შემდეგ უწევდათ, რაც მათი სასწავლოს სემესტრის ჩავარდნას გულისხმობდა.

ასევე სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს კანონში ცვლილებების მიღების შედეგად სტუდენტებისთვის წარმოქმნილი დამატებითი გაუთვალისწინებელი ხარჯები. 2014 წლის 1 სექტემბრამდე შემოსულ სტუდენტს, მოუწიათ დამატებითი თანხის გაღება, რათა მოერხებინა საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება და საბუთების შეტანა საქართველოს შესაბამის საკონსულო სამსახურში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საკონსულო აღნიშნულ ქვყენაში არ არის წარმოდგენილი, სტუდენტს კიდევ უფრო დიდი ხარჯის გაწევა უწევს, რადგან აუცილებელია იმ ქვეყანაში ჩასვლა, საიდანაც საქართველო ფარავს მოცემულ ქვეყანას. დამატებითი მგზავრობა კი კიდევ უფრო ზრდის ფინანსურ ხარჯს და ანელებს მოტივაციას. მაგალითად, საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა ერაყში და მას ფარავს იორდანიაში არსებული საკონსულო. იორდანიას და ერაყს ერთმანეთში სავიზო რეჯიმი აქვთ და ვიზა, ერთჯერადად შესვლის მიზნითაც კი, საბუთების გარდა, ითვალისწინებს 30 დოლარის ოდენობის ხარჯს.[8]

ძველი რეგულაციით, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ვიზა და სამთვიანი შემოსვლის ნებართვა გაიცემოდა სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში,[9] ხოლო, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად შემოსულ უცხოელზე ორდინალურ ვიზას გასცემდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.[10] შესაბამისად, სტუდენტებს, პროფესორებს და სასწავლო და კვლევითი საქმიანობით დაკავებულ პირებს მაქსიმალურად მარტივად შეეძლოთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა. ამჯერად კი ვიზა საზღვარზე აღარ გაიცემა და მსურველებს სასწავლო ვიზის აღება მხოლოდ საკუთარ, ან გადაფარვის ქვეყანაში წარმოდგენილ საქართველოს დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობაში შეუძლიათ.

ერთ–ერთი უნივერისტეტი, რომელსაც ახალი სავიზო პოლიტიკით დიდი პრობლემები ექმნება, არის ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი, რომელიც 5 წელია რაც საქართველოში მოღვაწეობს. უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილს უცხოელი სტუდენტები შეადგენენ. ამ უნივერსიტეტში სავარაუდო პრობლემა შეექმნა, ან შეექმნება, 100-ზე მეტ სტუდენტს.

[8]http://www.projectvisa.com/visainformation/Jordan (
[9]ძველი რედაქცია მუხლი თავი 3, მუხლი 5, პუნქტი 2
[10]მუხლი 5, პუქნქტი 2/1, ძველი რედაქცია

წელი	რაოდენობა
2009–2010	370
2010–2011	644
2011–2012	1414
2012–2013	1600
2013–2014	1694
2014–2015	1991

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით

სავიზო ცვლილებებმა საკმაოდ დიდი პრობლემები შეუქმნა სამედიცინო უნივერსიტეტსაც. 2009 წლიდან დღემდე საქართველოში სწავლობდა 55 ქვეყნის სტუდენტი, რომელთაგან 6000–ზე მეტი სწორედ სამედიცინო უნივერისიტეტის სტუდენტი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ 55 ქვეყნიდან 28-ში[11] საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არ გააჩნია, ამიტომ ამ ქვეყნებიდან მომდევნო წელს სტუდენტების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას უნდა ველოდოთ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატისტიკა ამერიკის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში						
ქვეყანა	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**ჯამი**
რუსეთი	1	1	0	0	2	4
ყაზახეთი	1	0	1	1	0	2
საბერძნეთი	1	1	2	0	0	4
კანადა	0	1	0	0	0	1
ნიგერია[1]	0	2	69	23	36	130
კამერუნი	0	0	1	0	0	1
აშშ	0	0	1	0	0	1
გვინეა	0	0	0	1	0	1
ერაყი	0	0	0	2	0	2
აზებაიჯანი	0	0	0	1	2	3
სირია	0	0	0	2	0	2
განა	0	0	1	0	0	1
ირანი	0	0	3	1	0	4
ჯამი	3	5	78	32	40	158

[11]ბანგალდეში; ბურუნდი; გაიანა ; გამბია; ერაყი; კამერუნი; კენია; მალდივის რესპუბლიკა; მალავი; ნეპალი ; ნიგერია; პაკისტანი; სირია; სურინამი; ტრინიდადი და ტიბაგო; ფიჯი; შრი-ლანკა ; ჩადი;

ქვემოთ ცხრილში მოცემულია 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით. გახაზულია ის ქვეყნები, სადაც საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობა არ გააჩნია.

ქვეყანა[12]	რაოდენობა
აზერბაიჯანი	22
აშშ	5
ბანგლადეში	1
ბურუნდი	3
გაიანა	3
გამბია	3
გერმანია	6
ეგვიპტე	3
ერაყი	142
თურქეთი	80
ინდოეთი	191
ირანი	4
ისრაელი	1
რუსეთი	17
საბერძნეთი	1
ტრინიდადი და ტობაგო	2
უკრაინა	1
უზბეკეთი	1
შვედეთი	1
შრი-ლანკა	32
სულ	519

GRASS REFORMANDA

სამედიცინო უნივერსიტეტისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ნიგერიელი, შრი–ლანკელი და ერაყელი სტუდენტების საკითხი, რომელთა რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან შემოსული სტუდნეტების. ამ ქვეყნებში კი საქართველოს საკონსულო სამსახური არ გააჩნია.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს დამატებითი პრობლემები ექმნება სტუდენტების მიღების წესის გათვალისწინებით.სამედიცინო უნივერსიტეტი მაღალი

[12]სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წერილი 382(10,11,2014)

კონკურსის გამო ჩარიცხვის ორ-ეტაპიან მეთოდს იყენებს - (1) ტესტირება და (2) გასაუბრება. გასაუბრებისთვის აუცილებელია სტუდენტის საქართველოში ჩამოსვლა, რაც გაცილებით რთული იქნება (თუ შეუძლებელი არა) ახალი სავიზო რეგულაციების ამოქმედების შემდეგ. სამედიცნო უნვიერისტეტში მიღების წესის მიხედვით, სტუდენტის მიერ ორი ეტაპის გავლის შემდგომ წარმატებული სტუდენტის დოკუმენტაცია იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აღიარებისთვის და შემდგომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროში ჩარიცხვისთვის. ამ ეტაპზეც კი, წარდგენილ დოკუმენტაციაში სტუდენტი არ ფლობს უნივერსიტეტში ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. მას შემდეგ, რაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს სამართლებრივ აქტს სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვაზე. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სტუდენტის მიღება უნივერსიტეტში და მხოლოდ ამ ეტაპზე შეუძლია მას მიიღოს სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვის აღმნიშვნელი დოკუმენტაცია. სტუდენტის მიღების წესი ახალ სავიზო პირობებში დიდ პრობლემას ქმნის, ვინაიდან, ახალი რეგულაციით, სტუდენტს სავიზო განაცხადისას უნდა გააჩნდეს საქართველოს ვიზის გაცემის წესით გათვალისწინებული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს - მგზავრობის მიზანს;[13] აღნიშნული გულისხმობს, რომ სტუდენტმა უნდა წარადგინოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოწმობა, მაშინ, როდესაც მან აღნიშნული მხოლოდ ჩამოსვლის შემდეგ შეიძლება მიიღოს, ხოლო ვიზის საქართველოში მიღების შესაძლებლობის გარეშე მას უწევს უკან დაბრუნდება და ხელახალი განაცხადით სასწავლო ვიზის მოთხოვნა.

სამედიცინო უნივერსიტეტის და ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის გარდა, პრობლემები შეექმნებათ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ 300-მდე სტუდენტი ხვდება ახალ სავიზო რეგულაციებში.

კავკასიის უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების სტატისტიკა წლების მიხედვით					
ქვეყანა	**2011-2012**	**2012-2013**	**2013-2014**	**2014-2015**	**ჯამი**
ირანი	1	0	0	1	2

[13]კანონი„უცხოელთადამოქალაქეობისარმქონეპირთასამართლებრივიმდგომარეობის შესახებ“ მუხლი 8 პუნქტი ა

რუსეთი	4	3	0	2	9
აშშ	0	1	0	0	1
ლიბანი	0	1	1	0	2
ჰოლანდია	0	1	1	0	2
პოლონეთი	0	0	2	0	2
უკრაინა	0	0	2	0	2
ესტონეთი	0	0	2	1	3
ავსტრია	0	0	1	0	1
ლატვია	0	0	1	1	2
ეგვიპტე	0	0	0	1	1
თურქეთი	0	0	0	1	1
გერმანია	0	0	0	1	1
დანია	0	0	0	1	1
შვეიცარია	0	0	0	1	1
ჯამი	5	7	9	11	32

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა სტატისტიკა 2013-2014 სასწავლო წლის მიხედვით:[14]	
ქვეყანა	რაოდენობა
თურქეთი	88
აზერბაიჯანი	3
ტაჯიკეთი	3
ყირგიზეთი	5
რუსეთი	4
უკრაინა	1
ნიგერია	3
ეგვიპტე	3
სირია	1
უზბეკეთი	1
ერაყი	1

[14]შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტის წერილი N 342(23,10,2014)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატისტიკა წლებისა და ქვეყნების მიხედვით[15]					
ქვეყანა	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015	ჯამი
საქართველო	6	54	43	0	103
რუსეთი	3	44	32	24	103
აზერბაიჯანი	8	26	10	2	46
სომხეთი	7	8	1	5	21
ლატვია	1	1	0	0	2
აშშ.	1	2	2	0	5
ერაყი	0	37	125	90	252
საბერძნეთი	0	2	1	1	4
გერმანია	0	2	6	0	8
დიდი ბრიტანეთი	0	1	0	0	1
სირია	0	2	0	0	2
ლიტვა	0	1	9	0	10
ბელარუსი	0	1	1	0	2
იტალია	0	0	1	0	1
ყაზახეთი	0	0	1	0	1
უკრაინა	0	0	1	2	3
ისრაელი	0	0	1	0	1
ფინეთი	0	0	2	0	2
სლოვაკეთი	0	0	2	0	2
პოლონეთი	0	0	3	0	3
ესტონეთი	0	0	1	0	1
ავსტრია	0	0	1	0	1
ირანი	0	0	0	1	1
თურქეთი	0	0	0	2	2
ჯამი	26	179	243	127	575

[15]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი 401 (19/11/2014)

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ახალი სავიზო რეგულაციები დარტყმას აყენებს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის იდეას, რაც ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ახალი რეგულაციის გამო, დიდი ალბათობით, დაიკლებს სტუდენტთა რიცხვი ისეთ ქვეყნებიდან, როგორიცაა ერაყი, ნიგერია და შრი ლანკა, ისევე, როგორც ყველა იმ ქვეყნიან, ვისთანაც სავიზო რეჟიმი გვაქვს, თუმცა არ გაგვაჩნია საკონსულო დაწესებულება. ხოლო, დანარჩენი ქვეყნებიდან სტუდენტების რაოდენობა, სავარაუდოდ, დაიკლებს გართულებული სავიზო პროცედურების და გამო, რაც მიზიდულობას უკარგავს საქართველოს და ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის მას რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

3. საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა საქართველოში ტურისტების მიმოსვლაზე.

ახალი კანონის თანახმად:

- საქართველოს ვიზა აღარ გაიცემა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე. ნაცვლად საზღვრისა, ვიზა გაიცემა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში;
- იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ქვეყანაში არ არსებობს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო, ჩამოსვლის მსურველი უცხოელი უნდა გაემგზავროს თავის ქვეყნის ახლოს მდებარე მესამე ქვეყანაში, სადაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო მდებარეობს.

საკანონმდებლო ცვლილება შეეხო იმ ქვეყნებიდან მომავალ ტურისტებს, ვისთანაც 1 სექტემბრამდე საქართველოს ჰქონდა უვიზო რეჟიმი და 1 სექტემბრის შემდეგ ამოქმედდა სავიზო რეჟიმი. კერძოდ, 118 ქვეყნის ნაცვლად უვიზო რეჟიმი შეუნარჩუნდა მხოლოდ 94 ქვეყანას.

საქართველოს 99 ქვეყანასთან აკავშირებს სავიზო რეჟიმი, მათგან 92-ში კი, საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება.

ამასთანავე, უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, უცხოელი, რომელსაც სურს მიიღოს საქართველოს ვიზა, ვალდებულია გაიაროს შემდეგი პროცედურები: გააკეთოს

სავიზო განაცხადი ვიზის გამცემ ორგანოში, სადაც დადასტურებული იქნება მგზავრობის მიზანი, ჯანმრთელობის დაზღვევისა და ფინანსური სახსრების არსებობა. საქართველოს ვიზა უცხოელმა უნდა აიღოს თავისივე ქვეყნაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, ან საკონსულოში. საქართველოს ვიზის მიღების შესახებ უცხოელმა პასუხი უნდა მიიღოს 10 კალენდარული დღის განმავლობაში, იშვიათ შემთხვევებში - 30 კალენდარულ დღეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთან სავიზო რეჟიმში მყოფი ქვეყნებიდან მნიშვნელოვნად გართულდა საქართველოში შემოსვლა. გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით არის შედგენილი სავიზო რეჟიმის სია. სავიზო რეგულიაციების შემოღების ერთ-ერთი არგუმენტი[16] საქართველოს მთავრობის მხრიდან იყო საქართველოს სავიზო რეჟიმის პოლიტიკის თანხვედრა ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან. აღნიშულიდან გამომდინარე, საინტერესოა, ემთხვევა თუ არა, საქართველოს მხრიდან სავიზო რეჟიმში მოხვედრილი ქვეყენების სია ევროკავშირის #539 რეგულაციაში განსაზღრულ ქვეყნების სიას. ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ ვიზა ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად, საქართველოს სავიზო რეჟიმის ქვეყნების სიიდან ემთხვევა მხოლოდ 17 ქვეყანა (კუბა, დომინიკის რესპუბლიკა,გრენადა, ჰაიტი, ერაყი, მარშალის კუნძულები, მიკრონეზია, მონღოლეთი, ნამიბია, პალაუ, პერუ, სენტ კიტსი და ნევისი, სენტ ლუსია, სურინამი, ტრინიდადი და ტობაგო). ცალკე გამოსაყოფია 5 ქვეყანა (ჩილე, გვატემალა, ნიკარაგუა, პარაგვაი, ურუგვაი), რომლებთანაც ევროკავშირს აქვს მხოლოდ სამ თვიანი უვიზო რეჟიმი, ხოლო საქართველომ შემოიღო სრული სავიზო რეჟიმი. კიდევ სამი ქვეყანა საერთოდ არ ემთხვევა ევროკავშირის სავიზო რეჟიმის პოლიტიკის ფარგლებში არსებული ქვეყნების სიას. ასეთი ქვეყნებია - ბოლივია, ნიუე და აღმოსავლეთ ტიმორი.

იმ 24 ქვეყნის ცხრილი, როლებთანაც საქართველომ 1 სექტემბრის შემდეგ გააუქმა უვიზო რეჟიმი და არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება:

სახელმწიფო		საელჩო/საკონსულო ოლქი
ერაყი	✘	იორდანია, ქ. ამანი

[16]http://goo.gl/nSZ1JI

ბოლივია	✗	არგენტინა
ჩილე	✗	არგენტინა
კუბის რესპუბლიკა	✗	მექსიკა
ინდოეთის რესპუბლიკა	✓	ინდოეთის რესპუბლიკა
გვატემალა	✗	მექსიკა
პარაგვაი	✗	არგენტინა
პერუ	✗	ბრაზილია
ურუგვაი	✗	არგენტინა
დომინიკის თანამეგობრობა	✗	მექსიკა
ტრინიდადი და ტობაგო	✗	ბრაზილია
სენტ-კიტსი და ნევისი	✗	ქ. მეხიკო. მექსიკა
სურინამი	✗	ბრაზილია
სენტ-ლუჩია	✗	მექსიკა
მონღოლეთი	✗	ჩინეთი
მარშალის კუნძულების რესპუბლიკა	✗	იაპონია
ნიკარაგუის რესპუბლიკა	✗	მექსიკა

ჰაიტი	✗	ამერიკის შეერთებული შტატები
გრენადა	✗	ამერიკის შეერთებული შტატები
მიკრონეზია	✗	ინდონეზიის რესპუბლიკა
ნამიბია	✗	ეთიოპიის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკა
ნიუე	✗	
აღმ.ტიმორი	✗	
პალაუ	✗	

ზემომოყვანილი ცხრილიდან იკვეთება, რომ იმ 24 ქვეყანასთან, რომლებთანაც 1 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ საქართველოს მხრიდან გაუქმდა უვიზო რეჟიმი, 23-ში საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება.

კიდევ უფრო გაურკვეველი ხდება ის კრიტერიუმები, რითაც იხელმძღვანელეს სავიზო რეჟიმის ქვეყანათა სიაში ცვლილებების შეტანისას. საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ერაყი, რომელიც 1 სექტემბრიდან მოხვდა სავიზო რეჟიმის ქვეყანათა სიაში. ერაყში საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ერაყი 20 ყველაზე დიდი დენადობის ქვეყნებს შორის წამყვან პოზიციაზეა. პირველი ექვსეულის შემდეგ(რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, უკრაინასთან, ირანთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად) ტურისტების რაოდენობის მხრივ, 2010 -2013 წლის ჩათვლით, აღინიშნება ვიზიტორთა მკვეთრი ზრდა ერაყიდან.



2013-2014 წლებში ერაყიდან საქართველოს მიმართულებით ხორცილედებოდა კვირაში 16 რეისი, თუმცა 1 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ (13 სექტემბრიდან) ერაყიდან საქართველოს მიმართულებით ფრენები არ განხორციელებულა.



ანალოგიური სიტუაციაა ირანთან მიმართებაში, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 1 ივლისს ირანთან გააუქმა უვიზო რეჟიმი, მაშინ როდესაც შსს-ს მონაცემებით, ირანი მოხსენიებულია 6 ყველაზე დიდი დენადობის მქონე ქვეყნად (რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, უკრაინასთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად),

2010 წლიდან-2012 წლის ჩათვლით, აღინიშნებოდა ვიზიტორთა მკვეთრი ზრდა ირანიდან საქართველოში, ხოლო 2013 წელს იწყება ვიზიტორთა რაოდენობის კლება, რაც ემთხვევა უვიზო რეჟიმის გაუქმების ფაქტს.



აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ირანიდან საქართველოს მიმართულებით სრულდებოდა კვირაში 9 რეისი, ხოლო 2013-2014 წლებში აღინიშნება რეისების შემცირება.



ერაყიდან და ირანიდან ტურისტების რაოდენობის შემცირების მიზეზად სავიზო რეგულაციების შემოღების დადგენა ძალიან მარტივია. თუმცა, ავტორებს კარგად ესმით, რომ შესაძლებელია, ამ ქვეყნების მოქალაქეების მიმართ სავიზო შეზღუდვები დაწესებული ყოფილიყო უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. ეს არგუმენტი, როგორც მინიმუმ ერთხელ, გამოყენებული იქნა სავიზო რეგულაციების გამკაცრების გასამართლებლად სხვადასხვა მაღალჩინოსნების მიერ. ასე მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის განცხადებით, "ცვლილება საქართველოს ვიზის აღების შესახებ დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში, საქართველოს საზღვარზე აღების ნაცვლად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე ვიზის გაცემა ქმნის სირთულეს უცხოელთა შესახებ მონაცემთა ადმინისტრირების კუთხით და რისკების შემცველია უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან საზღვარზე ვიზის გაცემისას ვერ ხერხდება უცხოლის მონაცემთა თუ მგზავრობის მიზნის სრულყოფილი გადამოწმება."

ჩვენს მიერ ჩატარებულმა უფრო ღრმა მოკვლევამ გვაჩვენა, რომ რეალურად, უსაფრთხოების არგუმენტი ბოლომდე მართებული არ არის. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საზღვარზეც და უცხოეთში საქართველოს საკონსულოს მიერ ვიზის გაცემის შემთხვევაშიც, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების არსებული ბაზები გამოიყენება, ამიტომ, გადაწყვეტილება, რომელსაც საზღვარზე პატრული ვიზის გაცემასთან დაკავშირებით იღებს, ზუსტად იგივე ბაზას ეყრდნობა, რომელსაც ახალი სავიზო რეგულაციების შემოღების შემდეგ დაეყრდნობა საკონსულო დაწესებულება. ამასთან, საქართველოს არ გააჩნია დამატებითი მექანიზმები, მაგალითად, ნიგერიის მოქალაქის იდენტობის გადასამოწმებლად, ამიტომ არანაირი განსხვავება არ აქვს, ნიგერიის მოქალაქეს საზღვარზე მისცემს ვიზას, თუ ქაიროში საქართველოს საელჩოს მეშვეობით.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არგუმენტაციის განმარტების მიზნით, ა.წ.8 ოქტომბერს, „საქართველოს რეფორმების ასოციაციამ" კითხვით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. 2014 წლის 8 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული წერილის N 24-88012 თანახმად „რისკებსა და საფრთხეებში იგულისხმებოდა არა ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხეები, არამედ ის გარემოება, რომ პირვანდელი კანონის დროს ვერ ხორციელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ვიზის საფუძველზე შემოსული პირების შემდგომი კონტროლი, შეუძლებელი იყო მიგრაციის პროცესების სწორი მართვა. აღნიშნული რისკები და საფრთხეები გახდა შემდგომი საკანონმდებლო ცვლილების ერთ-ერთ მთავარი მიზეზი"

გაუგებარია რა იგულისხმება "შემოსული პირების შემდგომ კონტროლში", რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ აძლევს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოსული, თუ აქ მყოფი პირების კონტროლის უფლებას. ხოლო თუ საუბარია კანონდარღვევის (მათ შორის სავიზო ვადების დარღვევა) კონტროლზე, აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია, როგორც საზღვარზე, ასევე საკონსულოში გაცემული ვიზის საფუძველზე.

რაც შეეხება უცხოელთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო ჩადენილ დანაშაულს, რაც შეიძლებოდა სავიზო გამკაცრების ერთ-ერთი მიზეზი ყოფილიყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებდა, რომ ერაყიდან და ირანიდან მიგრანტთა რაოდენობის ზრდა აისახა ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქათველოში ჩადენილი დანაშაულებების ზრდაზე.

შესაძლოა სავიზო რეჟიმის ქვეყნების სიის გაზრდა განპირობებული ყოფილიყო თავშსაფრის მაძიებელთა დიდი რაოდენობით, თუმცა იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ იმ 24 ქვეყნიდან, რომლებთანაც საქართველომ გააუქმა უვიზო რეჟიმი, თავშესაფრის მაძიებლები შეინიშნებოდნენ მხოლოდ 2 ქვეყნის შემთხვევაში - ერაყიდან და ირანიდან. 2014 წელს ერაყიდან 21 318 ვიზიტორი ეწვია საქართველოს, ხოლო თავშესაფრის მაძიებელი მათგან 736 ადამიანი იყო.

საქართველოში თავშესაფრის მძებნელთა სტატისტიკა



ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2014 წელს ერაყიდან შემოსული ვიზოტორების 3,5 % ითხოვდა თავშესაფარს, თუ გავითვალისწინებთ ერაყიდან ტურისტების ნაკადის ზრდის ტენდენციას, მნიშვნელოვანი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ერაყთან უვიზო რეჟიმის არსებობის პლუსები და მინუსები. ირანიდან კი 2014 წლის მონაცემების მიხედვით,თავშესაფრის მაძიებელი მხოლოდ შემოსული ვიზიტორების 0,06%. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი საზღვრის უკანონო გადაკვეთის (მცდელობის)ფაქტების მიხედვით, 2014 წლის იანვარი-ივნისის განმავლობაში, ერაყიდან

რამდენიმე ნამდვილი ისტორია

- ერთ-ერთ ტურისტს, რომელიც საქართველოში მოდიოდა, ბილეთი უკვე აღებული ჰქონდა, როდესაც საქართველოში განხორციელდა სავიზო რეგულაციების ცვლილებები. ტურისტმა დახმარებისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა, თუმცა, სამინისტომ განუცხადა, რომ ისინი ვერ დაეხმარებოდნენ და ტურისტს მოუწევდა საკონსულოში მისვლა და საქართველოს ვიზის ხელახლა გაკეთება. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მის ქვეყანაში საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო, ამიტომ, საქართველოს ვიზის გასაკეთებლად, მას მესამე ქვეყანაში უწევდა გამგზავრება, რომელშიც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არსებობდა. საქართველოში ჩამოსასვლელად ტურისტს მოუწია მესამე ქვეყანაში გამგზავრება და შედეგად ბილეთის გადაცვლა და დამატებითი ხარჯების გაწევა. საბოლოო ჯამში ტურისტი საქართველოში ერთი თვის დაგვიანებით ჩამოვიდა.
- ესპანეთის მოქალაქე, რომელიც ამჟამად დუბაიში იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოსვლას 2015 წლის მარტში აპირებდა. მან გაარკვია, რომ საქართველოს ვიზის მისაღებად უნდა წასულიყო ესპანეთში არსებულ საქართველოს საკონსულოში. იმის გამო, რომ ეს მგზავრობა დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვდა, მან უარი თქვა საქართველოში მოგზაურობაზე. მისივე თქმით, შარშან მას თავისუფლად შეეძლო საქართველოში ჩამოსვლა, რადგან ვიზას საზღვარზე იღებდა და გადასახადიც ნაკლები იყო.
- კანადის მოქალაქემ 2014 წლის 1 სექტემბრამდე მიიღო ბინადრობის ნებართვა. მას ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად მიიღო ბინადრობის ნებართვა, თუმცა, ხელზე არ გააჩნდა სპეციალური ID ბარათი. 2014 წლის 1 სექტემბრის შემდეგ იგი კანადაში გაემგზავრა, ხოლო საქართველოში დაბრუნებისას, საზღვარზე ეს დოკუმენტები მოსთხოვეს. იმის გამო, რომ მას ID ბარათი თან არ ჰქონდა, საზღვარზე მყოფმა პერსონალმა არ იცოდა გამოეყენებინათ თუ არა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბოლოოდ, კანადის მოქალაქეს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ნება დართეს შემოსულიყო ქვეყანაში როგორც ტურისტი, იმის გამო, რომ იგი კანადის მოქალაქეა და არ სჭირდება ვიზა.

მხოლოდ ერთი, ხოლო ირანიდან არც ერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც 1 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას გამოიკვეთა, უკავშირდება ამ ცვლილებების კომუნიკაციას უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან. როგორც ირკვევა, არც სახელმწიფო დაწესებულებები, არც დიპლომატიური კორპუსი და, შესაბამისად, საქართველოში ჩამოსვლის მსურველი ტურისტები, არ იყვნენ შესაბამისად ინფორმირებული დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელისუფლება ტურისტების რაოდენობის გაზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული და უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას. სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემის აკრძალვა და იმ ქვეყნებისათვის უვიზო რეჟიმის გაუქმება, საიდანაც ფიქსირდება ტურისტების დიდი დენადობა, ცალსახად იწვევს ზრდის ტენდენციის შენელებას და დიდი რაოდენობით პოტენციური ტურისტის დაკარგვას.

4. სავიზო პოლიტიკის გამკაცრების შედეგები საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა საქართველოში მაცხოვრებელ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის, საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს, რომელთაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა. იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში უვიზოდ შემოდიოდნენ და უფლება ჰქონდათ 90, ან მეტი დღის განმავლობაში ყოფილიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე (ყოველი ახალი ვადის ათვლა იწყებოდა მათ მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის დღიდან), ახალი რეგულაციებით სრულიად სხვა, მათთვის მოუხერხებელ გარემოში აღმოჩნდნენ.

კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უცხოელი, რომელსაც საქართველოში შემოსვლისათვის არ ესაჭიროება მოკლევადიანი ვიზა, საქართველოში შემოდის და იმყოფება არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადით, ნებისმიერ იმ 180 დღიან პერიოდში, რომელიც აითვლება საქართველოში მისი პირველად შემოსვლის დღიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ 180 დღიან პერიოდში, 90 დღეზე მეტხანს დარჩენის მსურველმა პირმა, აუცილებლად უნდა აიღოს შესაბამისი ვიზა, ან უნდა მოიპოვოს ბინადრობის ნებართვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალი კანონის შესაბამისად, საქართველოს

ვიზა გაიცემა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (თავი მე-3, მუხლი მე-6, პუნქტი-1). ძველი რეგულაციებით, საქართველოს ვიზის მიღება შესაძლებელი იყო ქვეყნის შიგნითაც.

რაც შეეხება ბინადრობის ნებართვის მოპოვების პირობებს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N 520 დადგენილების მე-8 მუხლში, რომელიც საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენ დოკუმენტებს ეხება, ვკითხულობთ:

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად, უცხოელმა, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, სააგენტოში უნდა წარადგინოს საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლიც (ამ შემთხვევაში ვიზა). თუ აღნიშნულ მუხლს ჩავუღრმავდებით, ეს ნიშნავს, რომ პირმა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, აქ ჰყავს ოჯახი და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურა: ჩავიდეს იმ ქვეყანაში, რომლის პასპორტსაც ფლობს, გააკეთოს განაცხადი საკონსულოში ან დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შესაბამის ვიზაზე, დაელოდოს პასუხს (რაც შეიძლება გაგრძელდეს 30 დღე), ვიზის მიღების შემთხვევაში დაბრუნდეს საქართველოში და შეიტანოს განაცხადი ბინადრობის ნებართვის მოპოვებაზე. ასეთი პრობლემები შეექმნა უცხო ქვეყნის ათასობით მოქალაქეს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. ხაზგასასმელია, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისათის, პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მაცხოვრებელ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, ანუ იმ ქვეყნის, რომელთანაც ფაქტიურად არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ადვილი წარმოსადგენია, ახალი კანონის მიღების შემდეგ, რა პრობლემების წინაშე დადგნენ ეს ადამიანები. 2014 წლის 14 ნოემბერს, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისათის, პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდა, თუმცა ეს ცვლილებები მხოლოდ 2015 წლის 1 მარტამდეა ძალაში და შესაძლებელია, რომ 1 მარტის შემდეგ ანალოგიური პრობლემები გაგრძელდეს.

რამდენიმე ნამდვილი ისტორია

- *"ვარ აფხაზეთიდან დევნილი მე-2 ჯგუფის ინვალიდი. 2014 წელს შვეიცარიის საელჩოს რუსეთის სექციაში ავიღე რუსეთის ფედერაციის პასპორტი, რათა გამევლო მკურნალობის კურსი მოსკოვში, მაგრამ მძიმე ფინანსური და ფიზიკური მდგომარეობის გამო ველარ მოვახერხე სამკურნალოდ წასვლა. ვინაიდან ვცხოვრობ ქობულეთის რაიონში, ნათესავების დახმარებით, ყოველ მესამე თვეს ვკვეთდი თურქეთის საზღვარს და მაშინვე ვბრუნდებოდი. ბოლო 4 თვის მანძილზე ვაგროვდებდი თანხას, რათა ჩამებარებინა საბუთები ბინადრობის ნებართვაზე. სამწუხაროდ, ჩემი განაცხადი არ მიიღეს, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, აუცილებლად უნდა მქონოდა შესაბამისი ვიზა. ამიხსნეს, რომ ვიზა უნდა ავიღო რუსეთის ფედერაციაში, ეს კი ჩემთვის შეუძლებელია. გამოდის, რომ მე აღარ მაქვს უფლება ვიცხოვრო ჩემს სამშობლოში."*
- *ვარ ფერეიდნელი ქართველი. 2011 წელს მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად დავუბრუნდი ისტორიულ სამშობლოს და მოვინათლეთ ქრისტიანებად. ჩემი შვილები დადიან ქართულ სკოლაში და იღებენ განათლებას, ოჯახის ყველა წევრს გვქონდა დროებითი ბინადრობის ნებართვა, რომელსაც სამწუხაროდ ვადა გაუვიდა. ახალი კანონიდან გამომდინარე, იძულებული ვარ წავიდე ირანში, რათა ავიღო შესაბამისი ვიზა. ირანში წასვლა კი, ქრისტიანებად მონათვლის შემდეგ, ჩემი ოჯახისათვის სახიფათოა.*

ახალი კანონი არა მხოლოდ კონკრეტული მოქალაქეებისათვის წარმოადგენს პრობლემას, არამედ ის ვერ მოდის თანხვედრაში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან, რომლის მიხედვით "უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების წახალისება და მათი შემდგომი რეინტეგრაციის ხელშეწყობა, საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია".

მაშინ, როცა უსაფრთხოების კონცეფციის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნებას და მათ რეინტეგრაციას, ახალი კანონით შეიქმნა გარემო, რომელიც არაერთ ბიუროკრატიულ პროცედურასთანაა დაკავშირებული. ყოველივე აღნიშნული ხელს არ უწყობს თანამემამულეთა რეინტეგრაციას და სერიოზულად აფერხებს მათ სურვილს დაუბრუნდნენ საქართველოს.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც შეიქმნა ფერეიდნელ ქართველებთან მიმართებაში. კერძოდ, ირანის პროვინცია ფერეიდანში მცხოვრები ბევრი ახალგაზრდა დაბრუნდა საქართველოში; ისინი მოინათლენ მართლმადიდებელ ქრისტიანებად და ცდილობენ ინტეგრაცია მოახდინონ ქართულ საზოგადოებაში. ირანის სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარე, მათთვის უკან დაბრუნება შესაძლოა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს შეიცავდეს. სამწუხაროდ, ახალი კანონი დაბრუნებულ ფერეიდნელ ქართველებს სხვა გამოსავალს არ უტოვებს, გარდა იმისა, რომ იქცნენ არალეგალურ მიგრანტებად საქართველოში. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისთვის პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდა, თუმცა, 2015 წლის მარტიდან მათ შეიძლება ისევ მსგავსი პრობლემები შეექმნათ.

ახალმა კანონმა პრობლემები შეუქმნა აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებსაც. საინგილოში მცხოვრები ახალგაზრდების ნაწილი უმაღლეს განათლებას საქართველოში იღებს. ახალი კანონის მიხედვით პრობლემის არსს მათთვის საქართველოში 180 დღიან პერიოდში მხოლოდ 90 დღით ყოფნის ვადა წარმოადგენს. ახალმა კანონმა საინგილოს მაცხოვრებლებისთვის როგორც ფინანსური, ისე მორალური თვალსაზრისით საკმაოდ ნეგატიური შედეგები გამოიღო.

5. სავიზო პოლიტიკის გამკაცრების შედეგები უცხოელ ინვესტორებზე.

ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან საქართველოში ინვესტიციების განხორციელების მსურველი უცხოელებიც. ბიუროკრატიული ბარიერები მათ ხელს უშლის ბინადრობის ნებართვის დროულად მიღებაში. ახალმა რეგულაციებმა მათთვის იმდენად მოუხერხებელი გარემო შექმნა, რომ იძულებული ხდებიან შეამცირონ საქართველოში ვიზიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დახარჯული თანხები და ჩადებული ინვესტიციები.

ინგლისურენოვან გამოცემა „The Financial"-თან ინტერვიუში, ჩინეთის საელჩოს კომერციული და ეკონომიკური კანცლერი ლუი ბო ამბობს, რომ მთავრობის სავიზო პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციებზე. ლუი ბოს თქმით, ჩინეთიდან 30–მდე დელეგატი ეწვია ქვეყანას, რომლებიც მზად იყვნენ ენერგეტიკაში ფულის ჩასადებად და დანიშნული ჰქონდათ შეხვედრები, თუმცა 45 დღის შემდეგაც ვიზებს ელოდებიან. მისივე ცნობით, „ჩინეთის სამხრეთის ავიაზახები" ორ ქვეყანას შორის დაფრინავს, თუმცა თუ სექტემბრამდე მგზავრთა რაოდენობა 100-ს აჭარბებდა, დღეს რეისზე 15-20 ადამიანია და შეიძლება მალე რეისი დაიხუროს.

ჩვენი კვლევის შედეგად დავადგინეთ როგორც მინიმუმ ორი შემთხვევა, როდესაც აზიის ქვეყნებიდან საქართველოში მომავალ ინვესტორებს უარი ეთქვათ ვიზაზე. ალბათობა იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი ეთქვა ვიზაზე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს, თუმცა, უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილებები იმის თაობაზე ვის მიეცეს ვიზა და ვის არა ხშირად ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე, მხოლოდ კონკრეტული მუშაკის შეხედულებისამებრ მიიღებოდეს. მაგალითად, იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი აზიური ქვეყნიდან თბილისში მომავალი დელეგაციის ყველა წევრმა, გარდა ერთისა, ვიზა მიიღო, ხოლო იმ ერთს დაუსაბუთებლად უთხრეს უარი.

6. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის შესაბამისი დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან კანონის ახალ რედაქციას დაემატა პირისთვის ვიზის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებული შემდეგი ჩანაწერები. კერძოდ, მე-3 მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პიროვნების საქართველოში ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას; და „ვ"ქვეპუნქტის მიხედვით, თუ, საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიუღებელია პირის საქართველოში ყოფნა, საქართველოს ვიზის გაცემის, ან საქართველოში შემოსვლის მიზანშეუწონლობის შესახებ დასკვნა არ საბუთდება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2104 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე, ვიზისა თუ ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ, არცერთი უარყოფითი დასკვნა არ იყო დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში, უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა, მე-3 მუხლის „ე" და „ვ" პუნქტები. ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე რამდენიმე წელია ცხოვრობს საქართველოში და უარს იღებს ვიზის, ან ბინადრობის გაცემაზე, ხოლო დასაბუთებაში მოყვანილია ეროვნული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის არგუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი უარები კომიკურ ხასიათსაც იძენს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალს უთხრეს უარი ბინადრობის გაცემაზე, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე. იმის გათვალისწინებით, რომ ეს პიროვნება თითქმის 5 წელი იმყოფებოდა საქართველოში, არასოდეს ჰქონია პრობლემა კანონთან, ხოლო ბინადრობაზე უარის მიღების შემდეგ ისევ შეეძლო დარჩენა საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე თვის განმავლობაში, ნათლად აჩვენებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების ნიადაგზე დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმა ხშირად მხოლოდ არგუმენტის არარსებობის გამო ხდება. პრობლემის უდიდესი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს არ აქვს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სსიპ-დან მიღებულ კითხვაზე უარის დასაბუთების ვალდებულება. ეს ფაქტი, ხშირ შემთხვევაში იძლევა არაადექვატური და ქსენოფობიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

7. დასკვნა და რეკომენდაციები:

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველოს მხრიდან საიმიგრაციო პოლიტიკის მოწესრიგების მოთხოვნას შეიცავდა, არ არის მართებული იმის მტკიცება, რომ ევროკავშირი საქართველოს ამგვარი შეზღუდვების შემოღებას და გაუმართლებელი ბიუროკრატიული ბარიერების წარმოქმნას სთხოვდა. არცერთი ვალდებულება, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან აიღო, არ გულისხმობდა ევროკავშირის მოქალაქეებისთვის საქართველოში ყოფნის ვადების შემცირებას, დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების შემოღებას უცხოელ სტუდენტებზე, სავიზო რეჟიმის მქონე სიის ისე განსაზღვრას, როგორც ეს სახელმწიფომ გააკეთა და უპირობო ვალდებულებას, რომ საზღვარზე ვიზები არ ყოფილიყო გაცემული.

საიმიგრაციო პოლიტიკის ცვლილება და კანონის შეცვლა, სავარაუდოდ, მართლა საჭირო იყო, მაგრამ ეს კანონი შეიძლება შეცვლილიყო ქვეყნის ეკონომიკური, საინვესტიციო და საგანამათლებლო ინტერესების გათვალისწინებით. ბოლო წლების განმავლობაში,საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ინვესტიციების მოზიდვა და ტურიზმის განვითარება წარმოადგენდა. ცვლილებების შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ უცხოურმა ინვესტიციებმა იკლო და საკანონმდებლო ცვლილებებმა ტურიზმზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა. 2014 წლის ოქტომბრის სტატისტიკა აჩვენებს, რომ წინა წელთან შედარებით ქვეყანაში 2.4 %-ით შემცირდა ვიზიტორების რაოდენობა,[17] რაც 2006 წლის შემდეგ პირველად მოხდა. ასევე შემცირდა 2014 წლის ნოემბერის თვეში ვიზიტორების რაოდენობა 2013 წელთან შედარებით, ამჯერად 3.8%-ით.[18] სხვა მიზეზებთან ერთად, სწორედ ვიზიტორების რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია ქვეყანაში დოლარის მოცულობის შემცირება და შედეგად, ეროვნული ვალუტის გარკვეული გაუფასურება.

გარდა ამისა, აღნიშნულმა ცვლილებებმა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა უამრავი ადამიანი და მათი მართებული გულისწყრომა გამოიწვია.სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩარევის შემდეგ, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მოხდა შექმნილი პრობლემების ნაწილობრივ გააზრება, რაც აისახა ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებებში. კანონმა გარკვეული შეღავათები დააწესა 2015 წლის პირველ მარტამდე, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველი სექტემბრიდან მოყოლებული, არაერთი უცხო ქვეყნის მოქლაქე მოხვდა გაუგებარ ვითარებაში, რამაც ქვეყნის იმიჯზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ახალი კანონით თვისობრივად არაფერი შეცვლილა, გარდა სავიზო რეჟიმის გაუაზრებელი გამკაცრებისა. ახალი კანონი იქმნება ძველი პრობლემების მოსაგვარებლად და სიახლეების დასანერგად. პრობლემები კი ცალსახად მოუგვარებელი დარჩა და კიდევ უფრო მეტი სირთულე წარმოშვა. ახალმა კანონმა, საბოლოო ჯამში:

1. უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმზე;
2. პრობლემები შექმნა განათლების სფეროში უცხოელი სტუდენტებისათვის;
3. გაურკვეველ ვითარებაში ჩააყენა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები;

[17]http://police.ge/ge/saqartvelos-sazghvarze-gadaadgilebul-vizitorta-statistikuri-monatsemebi-2014-tseli-oqtomberi/7294
[18]http://police.ge/ge/saqartvelos-sazghvarze-gadaadgilebul-vizitorta-statistikuri-monatsemebi-2014-tseli-noemberi/7431

4. გააჩინა საფრთხე, რომ ქვეყნიდან გავიდნენ ის უცხოელები, რომელთა საქმიანობა წარმატებული და სასარგებლოა ქვეყნისთვის;
5. კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნება;
6. პრობლემები შეუქმნა უცხოელ ინვესტორებს;
7. ვერ შეცვალა მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაში დასაბუთების ვალდებულების არარსებობა უშვებს არაადექვატური, ქსენოფობიური, გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე, „საქართველოს რეფორმების ასოციაციას" მიაჩნია, რომ შესაძლებელია კანონის მომდევნო ცვლილებების გატარება ზემოთ ნახსენები უარყოფითი ეფექტების აღმოსაფხვრელად. კერძოდ:

1. გაუქმდეს კანონის ის მუხლი, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის აღების შესაძლებლობას;
2. გადაიხედოს იმ ქვეყნების სია, რომლებთანაც საქართველომ გააუქმა უვიზო რეჟიმი;
3. აღდგეს უვიზო რეჟიმი ირანთან და ერაყთან;
4. კანონმა დაარეგულიროს სხვადასხვა დოკუმენტებზე უარის თქმის მექანიზმები და შესაბამის ორგანოებს დაევალოს დასაბუთებული დასკვნის დაწერა;
5. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა, გათავისუფლდნენ ვიზის აღების ვალდებულებისგან ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში;
6. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ვიზის გაცემის შემთხვევაში, გამოირიცხოს იმავე მიზნით, ბინადრობის ნებართვაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება;
7. დაწესდეს შეღავათები ფერეიდანში და საინგილოში მცხოვრები ქართველებისათვის

დოკუმენტზე მუშაობდნენ:

ელენე ხოშტარია, ნინი ჯაში, გიორგი ჯანგიანი, ტარიელ ყიფშიძე და სერგი კაპანაძე,